ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის

2019 წლის ანგარიში

- სკოლამდელი აღზრდის ცენტრში 2019 წელს გაერთიანებული იყო 43 საბავშვო ბაღი. მათ შორის - 8 ქალაქად და 35 სოფლად.
- ბაღებში სულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 836 თანამშრომელს (776 შტატით, 60 ხელშეკრულებით) და 2708 აღსაზრდელს.
- 2019 წელს ცენტრის ბიუჯეტი შეადგენდა - 4 260 000 ლარს.
- ხელფასისა და დანამატის მუხლით ერთად გაიცა - 2 525 660 ლარი.
- დანამატი ცენტრის მიერ გაიცა აპრილის თვეში, სააღდგომოდ ყველა თანამშრომელზე 50% ოდენობით. რომელმაც შეადგინა - 109 027 ლარი.
- 2019 წელს კვებისათვის გაიხარჯა - 981 100 ლარი.
- ერთი ბავშვის კვება - დღიური ნორმა შეაგდენდა 3 ლარი 68 თეთრი. (საკვები პროდუქტების გაძვირების გამო)
- რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებს 2019 წლისთვის შეადგინა - 168 078 ლარი.
- ელექტროენერგიის ხარჯმა შეადგინა -31260 ლარი.
- წყლის ხარჯმა შეადგინა - 20933 ლარი.
- ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯმა შეადგინა - 110715 ლარი.
- კანალიზაციის ხარჯმა შეადგინა - 30132 ლარი.
- გათბობისა და გათბობისათვის შეძენილი ნედლეულის ღირებულებამ შეაგდინა - 62864 ლარი.
- კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის მომსახურების ხარჯმა შეადგინა - 4815 ლარი.
- საკანცელარიო ხარჯმა შეადგინა - 13379 ლარი.
- სატენდერო მოსაკრებლისათვის დაიხარჯა - 3950 ლარი.
- საწვავის ხარჯმა შეადგინა - 2786 ლარი.
- შენობა- ნაგებობის დაცვაში დაიხარჯა - 15432 ლარი.
- საბავშვო ბაღებში სისტემატიურად ხდება დეზინფიცირება, დეზინსექცია, დერატიზაცია, ჭებისა და წყლის აუზების გაწმენდა, რომლისთვისაც 2019 წელს გახარჯულია - 5064 ლარი.
- ბაღებში სანიტარული-ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებებისათვის 43 საბავშვო ბაღში დაიხარჯა - 59444 ლარი.
- სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ, საბავშვო ბაღებში შეძენილი იქნა ინვენტარი (მაგიდები, სკამები, კარადები, სტელაჟები და ა.შ). - 82 820 ლარის ღირებულების, რომელიც გადაეცა ყველა საბავშვო ბაღს.

- საბავშვო ბაღებში შეძენილი იქნა საკანცელარიო საშუალებები (თაბახისა და ფერადი ფურლები, ფანქრები, აკვარელები, გუაშები, ფუნჯები, წებო და ა.შ.) სულ - 16321 ლარის ღირებულების.
- სამზარეულოს ჭურჭლის განახლების მიზნით შეძენილი იქნა -42459 ლარის ღირებულების ჭურჭელი.
- სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით ბაღებში შეძენილი იქნა გაზქურები, მაცივრები, გამწოვები, წყლის ელექტრო და გაზის გამაცხელებლები სულ - 47664 ლარის ღირებულების.
- წყლის ქიმიური და ლაბორატორიული ანალიზი ჩატარდა ყველა ბაღში, რომლის ღირებულებამ შეადგინა - 9312 ლარი.
- შეძენილი იქნა დეზობარიერები და დამცავი ბადეები-3493 ლარი.
- ბინის ქირისათვის # 8 და შრომა 2 ბაღებში გაიხარჯა - 13500 ლარი.
- ბაღებისთვის შეძენილი და გადაცემული იქნა სამედიცინო ნივთები (ბახილები, ხალათები, ქუდები) და მედიკამენტები (სპირტი, პერეკისი, იოდი, ბამბა და ა. შ.) სულ - 1297 ლარის ღირებულების.
- სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესის მეშვეობით სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად ხდებოდა ბაღების, თანამშრომლებისა და მშობლების კითხვარების მონაცემთა ანალიზი (ე.წ ბენჩმარკინგი) და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება.
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგები ჩაუტარდათ საბავშვო ბაღების მენეჯერებს თემაზე: ,, სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრირება და თანამედროვე მეთოდიკა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში", რომელიც ჩატარდა ასოციაცია ,, კივიტას გეორგიკას " მიერ. გადამზადების პროცესი ეტაპობრივად ყველა ბაღის მენეჯერისთვის განხორციელდება.
- კვალიფიკაცია აიმაღლეს ასევე ბაღის აღმზრდელებმა თემაზე: ,, თამაშის მნიშვნელობა ბაღებში", რომელიც ჩაატარა მაკჯორჯია ოკუპანტური თერაპიის წარმომადგენლებმა, ხოლო სპეც-მასწავლებლებსა და ფსიქოლოგებს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე: ,, ინკლუზიური განათლება". ყველას გადაეცა შესაბამისი სერთიფიკატი.
- 2019 წლის მაისის თვეში სამუშაო ვიზიტით, ცენტრის დირექტორი მივლინებით იმყოფებოდა პოლონეთში, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პოლონური ორგანიზაცია ედუკატორის დაფინანსებითა და მიწვევით, სადაც განხორციელდა პროექტი ,,სკოლამდელი განათლების სისტემური ცვლილებების მხარდაჭერა საქართველოში".
- იქ მიღებული ცოდნა და გომოცდილება აუცილებლად ეტაპობრივად დაინერგება საბავშვო ბაღებში, გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციები.
- ერთ-ერთი აქტივობა უკვე განხორციელდა, ყველა საბავშვო ბაღის ეზოებსა და შენობებში მოეწყო ე.წ. სენსორული ბილიკები, რომელიც ხელს უწყობს ბავშვთა მსხვილი და წვრილი მოტორიკის განვითარებას.
- საბავშვო ბაღებში სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ახორციელებს სისტემატიურ მონიტორინგს, რომელიც ბაღებში ამოწმებს როგორც სანიტარულ- ჰიგიენურ

მდგომარეობას ასევე ბაღებში შეტანილი პროდუქტების ეტიკეტირებასა და შესაბამისობას, ასევე აღსაზრდელთა და თანამშრომელთა გამოცხადებას და პროდუქტების ხარჯვას მენიუსთან შესაბამისობაში.

- ბაღებში წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის აქტივობები, პროფესიების გაცნობის მიზნით ახლომდებარე თემებთან ურთიერთობის მიზნით მოეწყო შეხვედრები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, რის შემდეგაც ბავშვებს უვითარდებათ პატივისცემის გრძნობის უნარი სხვადასხვა პროფესიისადმი.
- აქტივობები, რომელიც ბაღებში ჩატარდა ყველა სტანდარტთან და გეგმასთან არის შესაბამისობაში ბაღებში ეწყობოდა ღია კარის დღეები თემებზე: ,, ფერები ჩემს გარშემო", ,,ჩვენი ემოციები", ,, წყლის სამყარო", შეგრძნებები"
- მზაობის ჯგუფებში ჩატარდა ,, წიგნის დღე" განხორციელდა ექსკურსიები ახლომდებარე ბიბლიოთეკებში.
- განხორციელდა პროექტი ,, ჩვენ გვიყვარს მხიარული ნოტები". ჩატარდა ,,მხიარული სტარტები"
- მშობელთა ჩართულობით მოეწყო საბავშვო ბაღის ეზოები.
- საქართველოს განათლების სამინისტროს სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მოეწყო კონკურსი ,, მწვანე ჯილდო" . ოზურგეთიდან გამარჯვებული გახდა # 9 ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი, რომელიც შევიდა საქართველოს საუკეთესო აღმზრდელთა ათეულში.
- ყველა ბაღში მოეწყო საგაზაფხულო, საშემოდგომო და საახალწლო ღონისძიებები.
- საახალწლოდ ყველა აღსაზრდელს (2708 აღსაზრდელი) გადაეცა საახალწლო საჩუქრები სულ 13776 ლარის ღირებულების.
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ოზურგეთის ყველა ბაღში 2019 წლის 24 დეკემბერს შეწყდა, რომელიც 2020 წელს 20 იანვარს განახლდა.

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის

დირექტორი მ. ჭყონია